სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

07 / ნოემბერი / 2025 წ.

KA011728891169425

№ 253154

დავით ყაზახაშვილს (პირადი ნომერი: 01012012982)
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, II რიგი, კორპუსი 6, ბინა 92

ბატონო დავით,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2025 წლის 07 ნოემბერს წარმოდგენილი N296180/17 განცხადებების შესაბამისად, დანართის სახით გეგზავნებათ მოთხოვნილი დოკუმენტის ასლი.

დანართი: 15 (თხუთმეტი) გვერდი.

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით წერილზე დატანილი 15-ნიშნა ნომრით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.napr.gov.ge ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით.

ხელმოწერილია/
შესრულებულია
ელექტრონულად

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ იუსტიციის სახლი
ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ასლი
სახელი/გვარი: ...
თანამდებობა: ...
657 "07" 11 2025 წ.
ხელმოწერა: ...

სსიპ სეიალოკი

სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების
სარეგისტრაციო მოწმენებლის/სარეგისტრაციო განცხადი)

* - სავალდებულო ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა — არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

*** სახელწოდება** თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი
უნდა გაწერილ/ზედროს ქართულ ენაზე „შეწარმდეთ შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

*** სახელწოდება ინგლისურ ენაზე** TETRITSKARO CULTURE AND SPORT CENTER
უნდა შესაბამებოდეს ქართულ ენაზე გაწერილ სახელწოდებას

*** საიდენტიფიკაციო ნომერი** 430804533
უნდა მიეთითოს სქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული ცხრანიშნა ნომერი

*** იურიდიული მისამართი** ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N2
უნდა მიეთითოს ორგანიზაციის იურიდიული მისამართი

ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი tetritskarokultcentri@yahoo.com
(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, გაწერილი უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი + 995 5 | 9 | 9 | 1 | 5 | 5 | 1 | 5 | 2 |
(არსებობის შემთხვევაში)

საქართველოს იუს
სსიპ იუსტ
ელექტრონული დოკუმ
სახელი/გვარი .....
თანამდებობა .....
657 "....." .....
ხელმოწერა .....

***დამფუძნებლები** (მიეთითება ინფორმაცია თავდაპირველი დამფუძნებლის/დამფუძნებლების შესახებ)
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
2. .....
3. .....

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები**
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

1. დავით ყაზახაშვილი - დირექტორი; პ/ნ 01012012982; ერთპიროვნულად, მის: ქ. თბილისი ვეძათხევის N9
2. .....
3. .....

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**

საქართველოს იუსტიციის საგინისტრო
სსიპ იუსტიციის სახლი
ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ასლი
სახელი/გვარი ნანა ... ვეხვანოზაშვილი
თანამდებობა თბილისის ... ვაკის ... იუსტიციის სახლის სპეციალისტი
657 "07" ....11..... 2025 .6.
ხელმოწერა ... ვეხვანოზაშვილი

(უნდა განისაზღვრის ხელმძღვანელი ორგანის წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ ორგანიზაციას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანის წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასევე უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანის წევრთან მიმართებით)

დავით ყაზახაშვილი - დირექტორი; პ/ნ 01012012982; ერთპიროვნულად, მის: ქ. თბილისი ვეშათხევის N9

.....

*ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი
(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

დავით ყაზახაშვილი - დირექტორი; პ/ნ 01012012982; ერთპიროვნულად, მის: ქ. თბილისი ვეშათხევის N9

*ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

tetritskarokultcentri@yahoo.com
(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

+ 995 5 [9] [9] [1] [5] [5] [1] [5] [2]

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო **დამფუძნებელი**
(არსებობის შემთხვევაში) (მმართველი ორგანოს დასახელება)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი წევრები:
(მმართველი ორგანოს დასახელება)

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1. .....

2. .....

3. .....

დანართი: წესდება[1]

1. 1. დავით ყაზახაშვილი პ/ნ 01012012982
ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

.....
ხელმოწერა

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემები უნდა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებით

2. .....

ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ..... ხელმოწერა

3. .....

ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ..... ხელმოწერა

თარიღი: 28.10.2025

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქსიმილე № 2901
თარიღი 28 ოქტომბერი 2025 წ.
ფურცლების რაოდენობა 03 ხელმოწერა

ნისტრ
ეური პაღლ
.....
.....
0.....6.
.....

საქართველოს იუსტ
სსიპ იუსტი
ელექტრონული დოკუმენ
სახელმწიფო .....
თანამდებობა .....
657 " " .....
ხელმოწერა .....

.....
201 6.
.....

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ წესდებაში ცვლილება

შეტანილ იქნეს წესდებაში ცვლილება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება - კულტურის ცენტრის“ (ს/კ430797140), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ (ს/კ430797158), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლის" (ს/კ230869192), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მანგლისის სამუსიკო სკოლის“ (ს/კ430797391) ,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თეთრიწყაროს სპორტული სკოლის“ (ს/კ430797024) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თეთრიწყაროს სახელოვნებო სკოლის“ (ს/კ430798657) რეორგანიზაცია (შერწყმა/გაერთიანებით) პროცესის დასრულებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ - ს დაფუძნების შესახებ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 01 ივლისის # 1086 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (შემდგომში - მუნიციპალიტეტის მოსახლეობა) კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება - უზრუნველყოფას, მკითხველის საბიბლიოთეკო - საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიულ მომსახურეობას, მოსწავლეებში პატრიოტული ცნობიერების, შემეცნებით - შემოქმედებითი აზროვნების და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას, სამუსიკო პროგრამების სწავლებას დაწყებით საფეხურზე, სახელოვნებო, ინდივიდუალური და გუნდური სპორტის სახეობების განვითარებასა და მართვას, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის აქტივობებს, დაწყებითი საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო საქმიანობას, სხვადასხვა სპორტული სექციების შექმნასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

2. „ცენტრი“ წარმოადგენს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის,

საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის , საქართველოს კანონების „ზოგადი განათლების შესახებ", „კულტურის შესახებ", „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", „სპორტის შესახებ", სხვა კანონების, კანონქვემდებარე აქტებისა და ამ წესდების საფუძველზე.

3. „ცენტრის" ელექტრონული ფოსტის მისამართია : tetritskarokultcentri@yahoo.com

4. „ცენტრის" იურიდიული მისამართია : საქართველო, 2300, თეთრიწყარო. თამარ მეფის ქუჩა N2.

5. „ცენტრს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, შტამპი, ლოგო, ბლანკი და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის აუცილებელი სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.

6. „ცენტრი" უფლებამოსილია სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად თანასწორობის საფუძველზე გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებრივ მოძრაობებში, სამეცნიერო-ტექნიკურ-სპორტულ და სხვა გაერთიანებებში.

7. „ცენტრს" შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, საკუთარი სახელით მოიძიოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იტვირთოს ვალდებულებები, უფლებამოსილია დადოს გარიგებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში, 8.ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლისგანაც მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია. მიღებული მოგება რეინვესტირებული უნდა იქნეს ცენტრის მიზნების, მისი განვითარებისა და სხვა აუცილებელი საქმიანობის განსახორციელებლად;

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქვეელმოქმედო მიზნებს.

11. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება,სერტიფიცირება), ცენტრი წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სერტიფიკატის) მიღების შემდეგ.

12.„ცენტრი" ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.

საქართველოს იუ
ნსიპ იუსტ
ელექტრონული დოკუმ
სახელი/გვარი .....
თანამდებობა .....
657 " " .....
ხელმოწერა .....

მუხლი 2. საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1. „ცენტრის" მიზნებია:

1.1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი კულტურულ-სახელოვნებო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

1.2. ხალხური რეწვის ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, სახალხო მთქმელების, ლიტერატორების, ავტორების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და

შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო, სამხატვრო, ქორეოგრაფიული, ზეპირ-სიტყვიერი ფოლკლორის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების გამოვლენა, პოპულარიზაცია; თანამედროვე ხელოვნების და ხელოვნების სფეროში თვითდასაქმებულთა საქმიანობის ხელშეწყობა;

1.3. პროგრამული ბიუჯეტის შესატყვისად მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მიზნობრივი წრეების, კლუბების, სექციების, ბავშვთა თვითმმართველობის, სტუდიების, ფოლკლორული ансамблების ჩამოყალიბება;

1.4. მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიური აღზრდის ფორმისა და მეთოდების გაუმჯობესება, ქალაქის და ქვეყნის მასშტაბით გამართულ შემოქმედებით ოლიმპიადებზე, კონკურსებში, კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობა;

1.5. სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება, პედაგოგიური პროცესის სრულყოფის ახალი მეთოდების და სამუალებების მოძიება, ალტერნატიული პროგრამებისა და მეთოდიკის დანერგვა;

1.6.მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სამხატვრო-საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, სახვითი ხელოვნებისა და სამხატვრო სწავლების პროგრამაზე ხელმისაწვდომობა;

1.7. გამოფენებში, კონკურსებში, ბიენალეებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა;

1.8. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების მოყვარულთა გაერთიანებების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

1.9. მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

1.10.მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში რეგისტრირებული ბავშვების, მოზარდებისა და სპორტით დაინტერესებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობის მონაწილეობა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება და ხელის შეწყობა;

1.10[1]. საფეხბურთო საქმიანობის მხარდაჭერა და განვითარება, მათ შორის ქალთა და ვაჟთა ფეხბურთის პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტული ინვენტარითა და შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა, ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის წახალისება და ფეხბურთის განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო, სამწვრთნელო პროგრამების განხორციელება.

1.11. სასპორტო ფილიალების პროფილის შესაბამისად, მოზარდებისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბების, მათი წარჩინებული სპორტსმენებად ჩამოყალიბების და დაოსტატების მიზნით, მუნიციპალიტეტის სახელით ტურნირებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ) საჭირო ხარჯებით უზრუნველყოფა.

1.12. თეთრიწყაროს გუნდებისათვის მაღალი კლასის სპორტული რეზერვების შერჩევა და მათი მომზადება თანამედროვე სტანდარტების დონეზე;

1.13. მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, მწვრთნელების მომზადება;

1.14. ქვეყნის ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდების ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენებით შევსება;

1.15. „ცენტრის" სპორტსმენებისთვის მუნიციპალიტეტისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და თანამედროვე საწვრთნელი ბაზის შექმნა;

1.16. „ცენტრის" მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) თანამედროვე სტანდარტების დონეზე სასწავლო-სპორტული პროცესის ორგანიზება, სპორტსმენთა წვრთნისა და სოციალური პირობების (კვება, სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, სამედიცინო კონტროლი) შექმნა;

1.17. „ცენტრის" სპორტსმენებისა და მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის ერთიანი სპორტული ფორმის შეძენა , სპორტული ინვენტარით მომარაგება;

1.18. „ცენტრის" ნაკრები გუნდებისთვის სასწავლო-საწვრთნო შეკრების ჩატარება და სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება;

1.19. „ცენტრის" სპორტსმენთა და მწვრთნელ-მასწავლებლებისთვის გადასაადგილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;

1.20. „ცენტრში" დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირების მიზნით მათი მივლინება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

1.21. რეკომენდაციის საფუძველზე, მუნიციპალიტეტისა და ცენტრის წარჩინებული სპორტსმენების სხვადასხვა ფორმით წახალისება (მადლობის სიგელი, ფულადი ჯილდო და სხვა) და სტიპენდიების გაცემა;

1.22. სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების, სახელობითი ტურნირების ორგანიზება და ჩატარება;

1.23. თეთრიწყაროს ახალგაზრდობის ინტელექტუალური და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და გაუმჯობესებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

1.24. ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის, დანერგვისა და დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა; ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი და ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობის აღზრდისათვის ხელშეწყობა;

1.25. ახალგაზრდული ღონისძიებების, ახალგაზრდული დღეებისა და თამაშობების ორგანიზება;

1.26. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა;

1.27. ბავშვთა ახალგაზრდულ კავშირებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა და ამ მიზნით ტრენინ-სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონცერტების, ფესტივალების, გამოფენების, საქველმოქმედო აქციებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობა;

1.28. ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება, ბავშვთა და ახალგაზრდული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

1.29. ახალგაზრდული თემატიკის პროექტების განხორციელება და დაფინანსება;

1.30. მართვის ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ წესდებით დასახული მიზნების მიღწევას;

1.31. უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება, თანამშრომლობა, პროგრამების შემუშავება, სამუშაო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და გამოცდილებების დანერგვა;

საქართველოს იუსტიციის
სსიპ იუსტიციის
ელექტრონული დოკუმენტის
სახელმძღვანელი .....
თანამდებობა .....
657 " " .....
ხელმოწერა .....

1.32. ყველა ასაკის მკითხველის სახიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურეობა;

1.33. საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და სამუზეუმო ფონდის დაცვა „საქართველოს მუზეუმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ეროვნული საგანძურის მოძიების აღრიცხვის, დაცვის, ექსპონირების, სამუზეუმო კოლექციების ოპტიმიზაციის, რესტავრაციის, ინვენტარიზაციის და პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

2. ცენტრი სპორტის მიმართულებით არსებული ამოცანების შესრულებისას ხელმძღვანელობს ოთხი ეტაპით, ესენია;

ა) პირველი (დაწყებითი) ეტაპი-საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს:

ა.ა) მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას;

ა.ბ) სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას;

ა.გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;

ა.დ) მოსწავლე-სპორტსმენების მომზადებას შემდგომ საწრთვნელ ეტაპზე გადასასვლელად;

ბ) მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპი-საწრთვნელი სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

ბ.ა) პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების გაუმჯობესებას და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას;

ბ.ბ) შესაბამისი უნარჩვევების შეძენა და განმტკიცება;

ბ.გ) სპორტის კონკრეტული სახეების დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ბ.დ) დამოუკიდებლად წვრთნის უნარჩვევების გამომუშავებას;

ბ.ე) მოსწავლე სპორტსმენების მომზადებას შემდგომ საწრთვნელ ეტაპზე გადასასვლელად;

გ) მესამე (სამუალო) ეტაპი-სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

გ.ა) წრთვნის პროცესის აქტივიზაციას;

გ.ბ) არჩეული სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნის და უნარჩვევების რეალიზებას;

გ.გ) სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას;

გ.დ) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადება შემდგომ საწრთვნელ ეტაპზე გადასასვლელად;

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპი-უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

დ.ა) მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე;

დ.ბ) მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათის.

3. „ცენტრი" წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია:

ა) დადოს ხელშეკრულებები;

ბ) ითანამშრომლოს სხვადასხვა საერთაშორისო სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან; სამეცნიერო-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მოიძიოს დაფინანსების დამატებითი წყაროები და საშუალებები;

დ) „ცენტრის" ძირითადი საქმიანობის ფარგლებში არსებული სხვადასხვა ასაკობრივი, პროფესიული თუ სოციალური ჯგუფებისათვის მოაწყოს ტრენინგ-სემინარები, კონფერენციები, ოლიმპიადები, კონცერტები, ფესტივალები, გამოფენები, საქველმოქმედო აქციები, გასაჯანსაღებელი, შემეცნებით-შემოქმედებით და სპორტული ღონისძიებები;

ე) „ცენტრის" საქმიანობის საზოგადოებისათვის გასაცნობად გამოიყენოს სხვადასხვა საინფორმაციო და სარეკლამო საშუალებები;

ვ) წარმართოს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) იქონიოს საპარკო ზონები, სპორტული და სანავშო მოედნები. ასევე, გასართობი, დასვენებისა და ფიზიკურ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების სხვა ობიექტები;

თ) ჩამოაყალიბოს სხვადასხვა თემატური კლუბები;

ი) ნიჭიერი ახალგაზრდების თვითრეალიზაციის ხელშესაწყობად გამოაცხადოს კონკურსები;

კ) იზრუნოს ახლებური, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე ფორმების დანერგვა-რეალიზაციაზე;

ლ) განახორციელოს და დააფინანსოს კულტურული, სპორტული და სახელოვნებო პროექტები;

4. „ცენტრი"-ს სასპორტო-საწრთვნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს;

ა) ჯგუფური საწრთვნელი და თეორიული მეცადინეობები;

ბ) ინივიდვალური წესით მეცადინეობები.

5. „ცენტრს" უფლებაა აქვს სახელოვნებო, სპორტული და კულტურული მიმართულებებით განახორციელოს დამატებითი ფასიანი მომსახურება ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის.

6. „ცენტრი" ვალდებულია:

ა) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობითა და დადებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები;

ბ) მოსწავლეებსა და მასწავლებლებს/მწრთვნელ მასწავლებლებს შეუქმნას სწავლებისა და ვარჯიშისათვის შესაფერისი გარემო;

გ) იზრუნოს თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

დ) იზრუნოს თავისი საქმიანობის ფარგლებში არსებული მიმართულებების (კულტურა, ხელოვნება, სპორტი, სამუზეუმო საქმიანობა) განვითარებაზე;

7. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი და ამ წესდებით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ყველა სახის არაკომერციული საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ცენტრის მიზნების მიღწევას.

მუხლი 3. „ცენტრის" დამფუძნებელი და მისი უფლებამოსილება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის" დამფუძნებელი არის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო-წარმოდგენილი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სახით.

2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც დამფუძნებელი, უფლებამოსილია:

ა) მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ცენტრისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ;

ბ) დაამტკიცოს ცენტრის წესდება (დებულება), შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

გ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, ხელოვნების და სპორტის ცენტრის" საქმიანობის განხორციელებისათვის დასაფინანსებელი ასიგნების გათვალისწინება და აღნიშნული ბიუჯეტის შესაბამისად ა.ა.ი.პ-ს ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება;

დ) შეცვალოს „ცენტრის" მიზნები;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ, ასევე ნახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე და განსაზღვროს მისი უფლებები და მოვალეობები;

ვ) მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელი პირებისაგან ცენტრის საქმიანობის შესახებ;

ზ) მოისმინოს დირექტორისაგან ფინანსური თუ სხვა ხასიათის ანგარიშები;

თ) დაამტკიცოს ცენტრის დირექტორის მიერ წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები;

ი) დაამტკიცოს ცენტრის ცალკეული პროექტები და აკონტროლოს მათი განხორციელება;

კ) განიხილოს ცენტრის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები;

ლ) წარმოადგინოს წინადადება ცენტრის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციის ან ლიკვიაციის თაობაზე;

მ) დირექტორის წარდგინების საფუძველზე დაამტკიცოს ცენტრის სტრუქტურა, საშტატო წუსხა და თანამდებობრივი სარგოები;

ნ) როგორც „დამფუძნებელმა" განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 4. „ცენტრის" სტრუქტურა

1. სტრუქტურა აისახება ცენტრის წესდებასა და სამტატო ნუსხაში, რომელსაც დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.
2. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ცენტრის დირექტორი, რომელსაც ჰყავს მოადგილე/მოადგილეები.
3. ცენტრის შემადგენლობაშია:
- ✓ კლასიკური მუსიკის სკოლა;
- ✓ სახელოვნებო სამსახური
- ✓ სპორტის სამსახური
- ✓ ფოლკლორის სამსახური
- ✓ სამუზეუმო სამსახური

4. ცენტრის შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობენ სამსახურის უფროსები/ხელმძღვანელები.
5. თითოეული სამსახურის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს შესაბამისი სფეროს (მიმართულების) განყოფილებები, რომელთა საქმიანობასაც კოორდინაციას უწევენ განყოფილების უფროსები.

მუხლი 5. „ცენტრის" ხელმძღვანელობა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის" ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას სრულად ახორციელებს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი.

2. „ცენტრის" დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება 3 წლის ვადით.

2[1]. „ცენტრის" მოქმედი დირექტორი 3 წლის ვადით დანიშნულად ჩაითვლება ამ წესდების ძალაში შესვლის დღიდან(წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან).

3. „ცენტრის" დირექტორი:

ა) „ცენტრის" მიზნების მისაღწევად იყენებს ცენტრის ანგარიშზე ჩარიცხულ მატერიალურ სახსრებს. ამასთან, დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე;

ბ) მოქმედებს „ცენტრის" სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

გ) „ცენტრის" სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს;

დ) დებს გარიგებებს და აფორმებს ხელშეკრულებებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, აწარმოებს მოლაპარაკებებს დამფუძნებელთან შეთანხმებით;

ე) დამფუძნებელთან ერთად ზედამხედველობს „ცენტრის" ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

ვ) ხელს აწერს „ცენტრის" საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

ზ) უზრუნველყოფს „ცენტრის" დამფუძნებლის გადაწყვეტილებების შესრულებას, ქმნის სამუშაო ჯგუფებს და წარმართავს მათ საქმიანობას;

თ) განუცალი საქმიანობის შესახებ ანგარიშს დამფუძნებელს;

ი) შეიმუშავებს „ცენტრის" საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს, გეგმებს მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს „დამფუძნებელს";

კ) დამფუძნებლის მიერ დამტკიცებულ პროექტებთან დაკავშირებით „ცენტრის" სახელით დებს ხელშეკრულებებს მესამე პირებთან;

ლ) ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესსა და დებულებას, რომლითაც განსაზღვრულია ცენტრის თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები, მათი წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, ასევე სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხები;

მ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათვისუფლებს „ცენტრის" თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, განსაზღვრავს ფულადი და სხვა წახალისების საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ;

ნ) წესდების, შინაგანაწესის და ზნეობრივი ნორმების განუხრელი დაცვის მიზნით ახორციელებს კონტროლს თანამშრომლებზე;

ო) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის სტრუქტურას, საშტატო განრიგს და თანამდებობრივ სარგოს;

პ) მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად განსაზღვრავს და ამტკიცებს „ცენტრი"-ს თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ჟ) გადაუდებელი აუცილებლობის, გამარტივებული შესყიდვის, განხორციელების შემთხვევაში მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

რ) დამფუძნებლის მიერ მინიჭებული უფლებების ფარგლებში ახორციელებს სხვა საქმიანობას.

4. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს დირექტორის გადაწყვეტილებით ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი;

5. წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ცენტრის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის, სახსრების არამიზნობრივად გამოყენებისათვის „ცენტრის" დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „ცენტრის" დამფუძნებელი;

6. „ცენტრის" დირექტორი მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, მოქმედებს დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად. პერსონალურად აგებს პასუხს ცენტრის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ცენტრის მფლობელობაში არსებული ქონების დაცვასა და ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე;

მუხლი 6. „ცენტრის" ქონება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის;

2. კანონით დადგენილი წესით ცენტრის სახსრები იქმნება:

ა) დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული სახსრებით;

ბ) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის საქმიანობიდან (ფასიანი სწავლებიდან, ლიცენზიებებზე გაყიდული ბილეთებიდან, უძრავი ქონების გაქირავებიდან) მიღებული შემოსავლებით;

გ) ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებით;

დ) გრანტები, სუბსიდიები და სხვა კანონიერი წყაროები;

ე) სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას;

3. ცენტრს საკუთრებაში (სარგებლობაში) შეიძლება ჰქონდეს შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით;

4. ცენტრის დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ცენტრის ფულადი სახსრების მიზნობრივ განკარგვასა და ქონების დაცვაზე;

5. „დამფუძნებელთან" შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს;

ა) უძრავი ქონების შეძენაზე, გასხვისებაზე, რაიმე ფორმით დატვირთვაზე;

ბ) სესხების აღების თობაზე;

გ) თავდებობაზე;

დ) სხვა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს და რაც გათვალისწინებული არ არის ამ წესდებით.

მუხლი 7. „ცენტრის" კონტროლი

1. „ცენტრის" კონტროლი გულისხმობს მის მიერ განხორციელებულ საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობაზე, ეფექტურობაზე, ხარისხსა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე ზედამხედველობას;

2. „ცენტრის" საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი;

3. „ცენტრი" ვალდებულია, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა, შეადგინოს ბალანსი, კვარტალური და წლიური ანგარიშგება და წარუდგიოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს;

4. საჭიროების შემთხვევაში, „დამფუძნებელი" „ცენტრის" საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციას ამოწმებს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ან მოწვეული ლიცენზირებული აუდიტორის მეშვეობით;

5. კონტროლის განსახორციელებლად „დამფუძნებული" უფლებამოსილია „ცენტრისაგან" გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

6. დამფუძნებელი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს „ცენტრის" არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 8. „ცენტრის" რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

2. არასამეწარმეო (არაკომეწრციული) იურიდიული პირის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

5. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტად.

6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას ;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

8. თუ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამოდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

4. თუ ამ წესდების რომელიმე ნორმა რაიმე გარემოების მაღით ბათილად იქნა ცნობილი, ეს არ მოახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. ბათილი ნორმის ნაცვლად გამოიყენება ნესი (ნორმა), რომელიც ძალაშია.

5. იმ საკითხების დარეგულირებისას, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესდებით, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და სათანადო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმები.

6. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი".

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი წიკლაური